საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 2 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №225/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 11 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის №225/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე მიკერძოებულია მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2018 წლის 6 ივნისის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაცია სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 21 და 22 ივნისს, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2018 წლის 28 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე, სადაც სასამართლომ განუმარტა, რომ გადასცემდა აღნიშნულ ინფორმაციას, რათა გაცნობოდა და შესაბამისი შუამდგომლობები მოემზადებინა, თუმცა აღნიშნული მასალები არასრულად 70 დღის დაგვიანებით გადასცეს.

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე -- -- მიეცა შესაძლებლობა 2018 წლის 25 ივნისის განცხადების საფუძველზე გაცნობოდა საქმის მასალებს იმავე დღეს -- -- სასამართლო შენობაში, ხოლო მას 10.08.2018 წლის და 22.08.2018 წლის განცხადებების მიუხედავად მხოლოდ 2018 წლის 27 და 29 აგვისტოს მიეცა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, რითაც დაირღვა თანასწორობის პრინციპი.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო არ აძლევს პასუხს 2018 წლის 22 აგვისტოს შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ითხოვდა პასუხს სად მოხდა -- -- მიერ მოთხოვნილი საქმის მასალების გაცნობა. ასევე, რეაგირების გარეშეა დატოვებული მისი 16.07.2018 წლის და 26.07.2018 წლის განცხადებები, სადაც ითხოვდა 2013-2017 წწ საბანკო მონაცემების მისთვის ჩაუბარებლობის მიზეზის განმარტებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 23 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- -- და -- -- მიმართ, განქორწინების, ქონების გაყოფის, ბავშვებისათვის ალიმენტის დანიშვნის თაობაზე.

2017 წლის 23 ივნისს -- -- წარადგინა განცხადება სარჩელის უზურნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. 2017 წლის 24 მაისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 2017 წლის 24 მაისის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 2 ივნისის განჩინებით -- საქმეს -- რომლის დავის საგანს წარმოადგენს განქორწინება, ალიმენტის დაკისრება, ჩუქების ხელშეკრულების 2/3 ნაწილში ბათილად ცნობა, უძრავ-მოძრავი ქონების 2/3 ნაწილის მესაკუთრედ ცნობა, ცალკე წარმოებად გამოეყო სასარჩელო მოთხოვნა - ჩუქების ხელშეკრულების 2/3 ნაწილში ბათილად ცნობის, უძრავ-მოძრავი ქონების 2/3 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში და მას მიენიჭა ახალი ნომერი.

2017 წლის 5 ივნისს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2017 წლის 26 ივნისს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს დაზუსტებული შესაგებელი. 2017 წლის 18 აგვისტოს მოსარჩელემ სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი. 2017 წლის 21 აგვისტოს განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

2017 წლის 5 სექტემბერს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებელი. 2017 წლის 13 დეკემბერს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში. 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელე (შეგებებული სარჩელით) -- -- შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 23 იანვარს -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 5 თებერვლის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 28 თებერვალს. 2018 წლის 27 თებერვალს -- -- წარმომადგენელმა განცხადება წარადგინა სასამართლოში სხდომის გადადების თაობაზე. 2018 წლის 28 თებერვლის საოქმო განჩინებით მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2018 წლის 22 მარტს.

2018 წლის 23 მარტს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და საქმის მასალების გაცნობა და გადაღება მოითხოვა. 2018 წლის 29 მარტის ხელწერილით დასტურდება, რომ მხარე გაეცნო საქმის მასალებს.

2018 წლის 2 აპრილს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის და ასლების გადაღების მოთხოვნით. 2018 წლის 2 აპრილის ხელწერილით დასტურდება, რომ -- -- წარმომადგენელი გაეცნო საქმეს და გადაიღო მასალები.

2018 წლის 26 აპრილს გაიმართა სასამართლო სხდომა, რომელიც შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან გადაიდო 2018 წლის 6 ივნისს. 2018 წლის 26 აპრილს -- -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამარლოს სხდომის ოქმის გადაცემის თხოვნით, რომელიც ჩაიბარა იმავე დღეს.

2018 წლის 8 მაისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს 2018 წლის 22 მარტის და 26 აპრილის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც იმავე დღეს ჩაბარდა.

2018 წლის 6 ივნისს გამართული სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა სასამართლოს მთავარ სხდომაში, რომელიც ახსნა-განმარტების ეტაპიდან გადაიდო 2018 წლის 28 ივნისს.

2018 წლის 6 ივნისის საოქმო განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -- -- შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ - გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია 2013 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდის -- -- საბანკო ანგარიშიდან ამონაწერების და საკრედიტო ხელშეკრულებების სახით, შემდეგი საბანკო დაწესებულებებიდან: -- --, -- --, -- --, -- --, -- --.

2018 წლის 21 ივნისს -- -- მიერ სასამართლოში წარდგენილი წერილის მიხედვით 01.01.2017-01.09.2017 წწ პერიოდში -- -- შესახებ ინფორმაცია არ ფიქსირდება.

2018 წლის 22 ივნისს -- -- სასამართლოში წარადგინა ინფორმაცია 01.01.2013-01.09.2017 წწ პერიოდში -- -- -- -- -- და -- -- არსებული ანგარიშებიდან ამონაწერის და გაცემული სესხების შესახებ.

2018 წლის 22 ივნისს -- -- მიერ სასამართლოში წარდგენილი წერილის მიხედვით განჩინებაში მითითებულ პერიოდში -- -- პირადი ანგარიში არ გააჩნდა და დანართის სახით წარადგინა განჩინებაში მოთხოვნილ პერიოდზე -- -- საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერი.

2018 წლის 25 ივნისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა სხდომის გადადება სხვა დროისთვის, ასევე საქმის მასალების გაცნობა. 2018 წლის 28 ივნისის გაიმართა სასამართლოს მთავარი სხდომა.

2018 წლის 2 ივლისს მოსარჩელის და მოპასუხის წარმომადგენლებს სასამართლოდან გაეგზავნათ -- -- მიერ წარმოდგენილი მასალები.

2018 წლის 4 ივლისს სასამართლოს მიმართა -- -- წარმომადგენელმა სასაქონლო-საინჟინრო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

2018 წლის 16 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა 2018 წლის 6 ივნისის საოქმო განჩინების ჩაბარება, რომელიც საბანკო ორგანიზაციებს გაეგზავნა.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის წერილით -- -- გაეგზავნა 2018 წლის 6 ივნისის საოქმო განჩინება და განემარტა, რომ გამოთხოვილი ინფორმაცია საფოსტო გზავნილის მეშვეობით ჩაბარდა მის წარმომადგენელს.

2018 წლის 26 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და 2018 წლის 6 ივლისის განჩინების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული გამოთხოვილი ინფორმაცია მოითხოვა. ასევე, გამოითხოვა საბანკო დაწესებულებებისთვის ჩაბარებული 2018 წლის 6 ივნისის განჩინების დედნები.

2018 წლის 10 აგვისტოს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლს -- -- ადმინისტრაციიდან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

2018 წლის 10 აგვისტოს და 22 აგვისტოს განცხადებებით -- -- მოითხოვა საქმის მასალების გაცნობა და ასლების გადაღება. 2018 წლის 27 აგვისტოს ხელწერილის მიხედვით -- -- გაეცნო საქმის მასალებს. 2018 წლის 30 აგვისტოს -- -- გაეგზავნა -- --, -- --, -- --, -- -- გამოთხოვილი მასალები.

2018 წლის 3 სექტემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და ითხოვა წერილობითი პასუხი მის მიერ წარდგენილ განცხადებებზე. 2018 წლის 5 სექტემბერს -- -- სასამართლოდან გაეგზავნა წერილობითი პასუხი 2018 წლის 3 სექტემბერს წარდგენილ განცხადებაზე.

2018 წლის 14 ოქტომბერს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ყველა საკრედიტო ორგანიზაციიდან -- -- საბანკო ტრანზაქციების ამონაწერის და მისი მონაწილეობით შედგენილი ყველა გარიგების გამოთხოვის შესახებ.

2018 წლის 17 ოქტომბერს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმეს მტკიცებულების სახით დართვოდა -- -- წარდგენილი განცხადება და მის საფუძველზე მომზადებული წერილობით პასუხი.

2018 წლის 17 ოქტომბრის სასამართლო სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 11 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ბანგალორის პრინციპების პირველი ღირებულების მიხედვით სასამართლოს დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის წინაპირობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის ძირითადი გარანტია. ბანგალორის პრინციპების 1.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს თავისი სამოსამართლო ფუნქცია დამოუკიდებლად, მხოლოდ ფაქტების შეფასების საფუძველზე, სამართლის შეგნებული გაცნობიერების შესატყვისად და ყოველგვარი გარეშე ზემოქმედების, წაქეზების, იძულების, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის და რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს; ამავე პრინციპის 1.2. მუხლის თანახმად მოსამართლეს დამოუკიდებელი პოზიცია უკავია მთლიანად საზოგადოებისა და იმ სასამართლო საქმის კონკრეტული მხარეების მიმართ, რომელზეც გადაწყვეტილება გამოაქვს; ხოლო 1.6 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და წაახალისოს მოსამართლეთა ქცევის მაღალი სტანდარტები, სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით, რაც უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ბანგალორის პრინციპების 2.4. პუნქტის თანახმად მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი ისეთ საქმეზე, რომელსაც ის განიხილავს ან რომელიც შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, რამაც შეიძლება გონივრული მოლოდინის ფარგლებში ზეგავლენა მოახდინოს ასეთი საქმისწარმოების შედეგზე, ან დააზიანოს პროცესის აშკარა სამართლიანობა. მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი საჯაროდ ან იმგვარად, რომ გავლენა მოახდინოს ვინმეს წინააღმდეგ ან რაიმე საკითხის გამო წარმართულ სამართლიან პროცესზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის

მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების და მოსამართლეების ყველა სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (§37).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“. მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლეები „ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“

მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მიხედვით „მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები“.

საჩივრის ავტორის მითითებასთან დაკავშირებით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს განცხადებით მიმართვის დღესვე 25 ივნისს მიეცა საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა, ხოლო მას 2018 წლის 10 და 22 აგვისტოს წარდგენილი განცხადებების მიუხედავად შეეზღუდა საქმის მასალების გაცნობის უფლება, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე შვებულებაში იმყოფებოდა 2018 წლის 23 ივლისიდან 2018 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით. შესაბამისად, 10 აგვისტოს განცხადების საფუძველზე ვერ განხორციელდებოდა საქმის მასალების გაცნობა აღნიშნული ობიექტური მიზეზის გამო. რაც შეეხება 22 აგვისტოს წარდგენილ განცხადებას, საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ მხარესთან შეთანხმებით აღნიშნული განცხადების საფუძველზე საქმის მასალების გაცნობა განხორციელდა 27 აგვისტოს.

საჩივრის ავტორის მითითება, რომ 16.07.2018 წლის და 26.07.2018 წლის განცხადებები რეაგირების გარეშეა დატოვებული სასამართლოს მიერ, საქმის მასალების მიხედვით არ დადასტურდა. 2018 წლის 16 ივლისის განცხადების პასუხი საჩივრის ავტორს სასამართლოდან 2018 წლის 19 ივლისის წერილით გაეგზავნა, ხოლო 26 ივლისის განცხადების პასუხი აღნიშნულ პერიოდში მოსამართლის შვებულებაში ყოფნის გამო გაეგზავნა 2018 წლის 30 აგვისტოს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების გაცნობის და აუდიოჩანაწერების მოსმენის შედეგად არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები. შესაბამისად, მოსამართლე -- -- მხრიდან არც ერთი მხარის მიმართ მიკერძოების ფაქტი არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №225/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი